

შრი შრი შიკშაშტაკამ

უფალი ჩაიტანიას სწავლება რვა ტაეპში

ლიტერატურული თარგმანი - დევარატა დას (დავით თუთბერიძე)
ვერსია: 2026.10.14

სწავლება რვა ტაეპში
შრი შრი შიკშაშტაკამ
1
ჩეტო-დარპანა-მარჯანამ ბჰავა-მაჰადავაგნი-ნირვაპანამ
შრეიაჰ-კაირავა-ჩანდრიკა-ვიტარანამ ვიდია-ვადჰუ-ჯივანამ
ანანდამბუდჰი-ვარდჰანამ პრატი-პადამ პურნამრიტასვადანამ
სარვატმა-სნაპანამ პარამ ვიჯაიატე შრი-კრიშნა-სანკირტანამ
2
ნამნამ აკარი ბაჰუდჰა ნიჯა-სარვა-შაკტის
ტატრარპიტა ნიამიტაჰ სმარანე ნა კალაჰ
ეტადრიში ტავა კრიპა ბჰაგავან მამაპი
დურდაივამ იდრიშამ იჰაჯანი ნანურაგაჰ
3
ტრინად აპი სუნიჩენა
ტარორ აპი საჰიშნუნამ
ამანინა მანადენა
კირტანიაჰ სადა ჰარიჰ
4
ნა დჰანამ ნა ჯანამ ნა სუნდარიმ
კავიტამ ვა ჯაგად-იშა კამაიე
მამა ჯანმანი ჯანმანიშვარე
ბჰავატად ბჰაკტირ აჰაიტუკი ტვაი
5
აი ნანდა-ტანუჯა კინკარამ
პატიტამ მამ ვიშამე ბჰავამბუდჰაუ
კრიპაია ტავა პადა-პანკაჯა-
სტჰიტა-დჰული-სადრიშამ ვიჩინტაია
6
ნაიანამ გალად-აშრუ დჰარაია
ვადანამ გადგადა-რუდჰაია გირა
პულაკაირ ნიჩიტამ ვაპუჰ კადა
ტავა ნამა-გრაჰანე ბჰავიშიატი
7
იუგაიტამ ნაიმეშენა
ჩაკშუშა პრავრიშაიტამ
შუნიაიტამ ჯაგატ სარვამ
გოვინდა-ვირაჰენა მე
8
აშლიშია ვა პადა-რატამ პინაშტუ მამ
ადარშანან მარმა-ჰატამ კაროტუ ვა
იატჰა ტატჰა ვა ვიდადჰატუ ლამპატო
მატ-პრანა-ნატჰას ტუ სა ევა ნააპარაჰ

ჩეტაჰ - ცნობიერების; დარპანა - სარკე; მარჯანამ - გაწმენდა; ბჰავა - მატერიალური არსებობის; მაჰა-დავაგნი - ტყის მძვინვარე ხანძარი; ნირვაპანამ - ჩაქრობა; შრეიაჰ - მადლი; კაირავა - თეთრი ლოტოსი; ჩანდრიკა - მთვარის შუქი; ვიტარანამ - მოფენილი; ვიდია - ყველა ცოდნის; ვადჰუ - ცოლი; ჯივანამ - სიცოცხლე; ანანდა - ნეტარება; ამბუდი - ოკეანე; ვარდჰანამ - მატება; პრატი პადამ - ყოველი ნაბიჯით; პურნა-ამრტა - ნექტარით აღსავსე; ასვადანამ - გემოს მიცემა; სარვა - ყოველი; ატმა-სნაპანამ - არსების გამწმენდი; პარამ - უმაღლესი; ვიჯაიატე - გამარჯვება; შრი-კრიშნა-სანკირტანა - კრშნას დიდების ერთობლივი გალობა

ნამნამი - უფლის წმინდა სახელებიდან; აკარი - გამოვლინდა; ბაჰუდჰა - სხვადასხვა; ნიჯა სარვა შაკტის - ყველა მისი ენერგია; ტატრა - ამაში; არპიტა - საჩუქარი; ნიამიტაჰ - შეზღუდვები; სმარანე - ხსოვნაში; ნა - არა; კალაჰ - დროის გათვალისწინებით; ეტადრიში - ასე დიდი; ტავა - შენი; კრიპა — წყალობა; ბჰაგავანი - უფალო; მამა - ჩემი; აპი - თუმცა; დურდაივამ - უბედურება; იდრიშამ - ასეთი; იჰა - მას (წმინდა სახელი); აჯანი - წარმოიქმნება; ნა - არცერთი; ანურაგა - მიჯაჭვულობა

ტრინად აპი - ფეხქვეშ ბალახი; სუნიჩენა - ქვედა ყოფნა; ტაროჰ - ხე; აპი - როგორც; საჰიშნუნა - მომთმენი; ამანინა - ცრუ სიამაყით არ გაბერილი; მანადენა - ყველას მიმართ პატივისცემის გამოხატვა; კირტანიაჰ--უნდა იმღეროს; სადა - ყოველთვის; ჰარიჰი - უფლის წმინდა სახელი.

ნა - არცერთი; დანამ - სიმდიდრე; ნა - არცერთი; ჯანამ-კარგ ოჯახში დაბადება; ნა - არცერთი; სუნდარიმ - ყველაზე ლამაზი ქალის; კავიტამი - სწავლულობა; ვა — ან; ჯაგად იშა -- ო სამყაროს მბრძანებელი; კამაიე - მინდა; მამა - ჩემი; ჯანმანი - დაბადება; ჯანმანი -- დაბადების შემდეგ; იშვარე - ღმრთეების უზენაესი პიროვნებისა; ბჰავატად - იყოს; ბჰაკტი - ერთგული სამსახური; აჰაიტუკი - სპონტანური; ტვაი - შენთვის.

აი ნანდა-ტანუჯა - მაჰარაჯა ნანდას ვაჟი; კინკარამ - მსახური; პატიტამი - დაცემულის; მამ - მე; ვიშვამ - საშინელი; ბჰავამბუდაუ - უმეცრების ოკეანე; კრიპაია - უმიზეზო მოწყალებით; ტავა - შენს ლოტოსის ფეხებთან; სტჰიტა - მდებარე; დჰული-სადრიშამ - მტვრის ნაწილაკი მსგავსი; ვიჩინტაია - გთხოვთ მიიღოთ.

ნაიანამ - თვალები; გალად-აშრუ-დჰარაია - ცრემლების დინებით; ვადანამ-პირი; გადაგადა - კანკალი; რუდაია - სუნთქვა; გირა - სიტყვების წარმოთქმით; პულაკაირ--თმების ყალყზე დადგომა; ნიჩიტამ -- მზარდი; ვაპუჰ--სხეულზე; კადა — როდის; ტავა - შენი; ნამა-გრაჰანე - სახელის გალობისას; ბჰავიშიატი - ეს ყველაფერი მოვა.

იუგაიტამი - ათასწლეულივით მეჩვენება; ნიმეშენა - მომენტი; ჩაკშუშა - თვალებიდან; პრავრიშაჰიტამ - ცრემლები წვიმის ნიაღვარივით ცვივა; შუნიაიტამ - ცარიელია; ჯაგატ სარვამ - მთელი სამყარო; გოვინდა - უფალ გოვინდასთან, კრშნასთან; ვირაჰენა მე - ჩემი განშორების გამო.

აშლიშა - დიდი სიამოვნებით ჩაეხუტე; ვა — ან; პადა-რატამი - ლოტოსის ფეხებთან დაცემა; პინაშტუ- დაე, გათელოს; მამ - მე; ადარშანამ - არ გამოჩნდება ჩემს თვალწინ; მარმა-ჰატამ - გულს გამიტეხავს; კაროტუ — ნება; ვა — ან; იათჰა - როგორც (მას სურს); ტათჰა - ამგვარად; ვიდადჰატუ - იმოქმედოს; ლამპატო - რომელიც ბევრ სხვა ქალს იცნობს; მატ-პრანა-ნათჰა - ჩემი ცხოვრების უფალი; ტუ — მაინც; საჰ - ის; ევა - მხოლოდ ერთი; ნა აპარაჰ - და სხვა არავინ.

შრი შრი შიკშაშტაკამ

უფალი ჩაიტანიას სწავლება რვა ტაეპში

1. დიდება, დიდება შრი კრიშნა სანკირტანას - უფლის წმინდა სახელთა გალობას, რომელიც წლობით დაგროვილ მტვერს აშორებს ცნობიერების დაბინდულ სარკეს და აქრობს ამქვეყნიური ტანჯვის მოგიზგიზე ხანძარს. მისი წყალობა გულს ეფინება ვით მთვარის შუქი ლოტოსის ყვავილს და მასში ბადებს უტყუარ ცოდნას ცოლისას რომელმაც იცის ქმრის ვინაობა. მერე ნეტარების უნაპირო ოკეანეს გადაგვიშლის, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ღრმავდება და ასპეტაკებს ყოველ არსებას.
2. ო ღმერთო ჩემო, მთელი შენი ენერგიები შენს წმინდა სახელში მოაქციე და არ შეგვზღუდე მისი გალობის მკაცრი წესებით. მე უბედურს კი, მიუხედავად ასეთი წყალობისა, მცირეოდენი ინტერესიც არ გამაჩნია ამ სახელთა გალობის მიმართ.
3. თავმდაბალი იყავი როგორც შარაზე დაგდებული ბალახის ღერო, ხეზე უფრო მომთმენი გახდი, პატივისცემას ნურავის მოსთხოვ და ყველას პატივი მიაგე, ამგვარ განწყობით წმინდა სახელის გალობას შეძლებ.
4. კეთილდღეობა, გვარიშვილობა, ლამაზი ცოლი - უკვე აღარ მსურს, სწავლულობა და მოწაფეთა სიმრავლეც აღარ მიზიდავს, აღარც განთავისუფლებას ვესწრაფვი. მხოლოდ ერთი მსურს სამყაროს ღმერთო - დაბადებიდან დაბადებამდე შენ გმსახურებდე, შენზედ უგონოდ შეყვარებული!
5. ო, ნანდას ვაჟო, რით გემსახურო მე დაცემული, საწუთროების ოკეანეში დასახრჩობად გადადებული. გევედრები შემიწყალე და შენს ფეხთა მტვრად მაქციე.
6. როდის მოხდება შენი სახელის წარმოთქმისას თვალთაგან რომ ცრემლი წამსკდება, ხმა ჩამიწყდება, ტანში ჟრუანტელი დამივლის და თმები ყალყზე დამიდგება, როდის მეღირსება ეს ყოველივე.
7. ჰოი გოვინდა, მთელი სამყარო ცარიელდება როცა ვერ გხედავ, ერთი წამიც კი საუკუნედ გადაიქცევა როცა მშორდები.
8. კიდევაც რომ მკაცრად მომექცე, გინდ განშორებით მომიკლა გული, აღარ მეჩვენო, სხვებს ეალერსო ვით მექალთანე, მაინც მიყვარხარ, რადგან შენა ხარ ჩემი სიცოცხლე და შენს იქით მე სხვა სიცოცხლე არ გამაჩნია!